

სიქსუ


ბაგოცემის

43-ე წელი.

ფასი 20 კპ.

4
1966





პარსანა „იბერნიკული ინფორმაცია“ შექმნა ნახევრადავტომატური „მანქანა-დირექტორი“, რომელსაც გააჩნია ადამიანისებური ტანი და ხელები (კონსტრუქტორებს თავი მხედველობიდან გამორჩენიათ).

მანქანის ღირებულება არ აღემატება ჩვეულებრივი მუშაკის ორი კვირის ხელფასს. თვალმისაცემია ზოგიერთი უმნიშვნელო წუნი: ტექნიკური უწყვეტიერობის გამო, მანქანა დღეში რამდენიმეჯერ იწვევს თათბირს და იმეორებს ერთსა და იმავეს: თანამშრომლებში ენატანებდა და მლიქვნელებს ვერ ანსხვავებს, რაც გამოირიცხავს სხვადასხვა თაზიციებისა და დაჯგუფებების არსებობას. ეს კი კოლექტივში მონოტონურობასა და შაბლონს ქმნის; მანქანა დამუხტულია ადამიანი-დირექტორისთვის დამახასიათებელი რეპლიკებით: „რამ გამოგაშტერა, შე უბედურო!“, „რას ბოღა!“, „მუქთად იღებ ჯამაგირს!“, „თუ არ მოგწონს, დაწერე განცხადება და წადი!“, „გაერთიე აქედან!“ და სხვ.

ამ უპატრონოს (არც ამას ჰყავს პატრონი!) არა აქვს გვარი, სახელი და მამის სახელი; ამიტომაც, ვერ მიმართავენ „ოფიცრები“ და, ბოლოს, პურმარილზე ვერ დაპატოვებთ: პირი მას არა აქვს და კაპი!

სამაგიეროდ „მანქანა-დირექტორი“ ხასიათდება მთელი რიგი ძვირფასი თვისებებით: არ იცის ბრძანებების წერა, რის გამოც ორწუთიან დაგვიანებებზე საყვირებში და მითითებები აღარ იწერება, არ ერევა წარმოების პროცესებში, რაც დადებითად მოქმედებს გეგმის შესრულებაზე, არ ტვირთავს შიდასაქალაქო ქსელს უთავბოლო, გაუთავებელი ლაპარაკით (ტელეფონი არ უდგას), არ გიქაჩავს თვლებს, პირში არ გიციინის და პირს უკან სამარეს არ გითხრის, არ ამთქნარებს, არ გიბრუგუნებს ფეხებს და არ გიქედება.

სტატისტიკოსები უკვე შეუდგნენ გამოანგარიშებას, თუ რამდენი მილიონი მანეთის ეკონომიას მოგვცემს „მანქანა-დირექტორის“ სერიული გამოშვება და მისი მასობრივი დანერგვა წარმოება-ორგანიზაციებში.

ა. მუხურაძე



როგორც კი წამოიზრდება ადამიანი და ცხოვრებაში ორივე ფეხს შედგამს, ცდილობს ბავშვობის ტკბ.ლ ოცნებებს ფრთები შეასხას. თუ, რა თქმა უნდა, ამისი საშუალება და გასაქანი ექნება.

პლენარის სახ. კლუბის გამგეს რომ ჰკითხოთ, რა არის შენი ბავშვობის განუზოცრელი ოცნებაო, მაშინვე გიპასუხებთ: დიდი სურვილი მაქვს ჩემზე გაზეთებში დაწერონ. ან იმდროს, მაგრამ არავინ არც წერს და არც მღერისო.

მართლაც, ხშირად ჩაფიქრებულა კლუბის გამგე: რა გავაკეთო ისეთი, რომ ჩემზეც დაწერონ, როგორც სხვებზე წერენ და საქვეყნოდ გავითქვა სახელიო.

იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: არც ერთ დღეს ფილმის დემონსტრირებას დანიშნულ დროზე არ დავიწყებ და, რაც მთავარია, საათნახევრიან სენსს ორსაათნახევრამდე გავზრდი, ეს ნამდვილად სენსაცია იქნებაო.

თქვა და ნათქვამი საქმედ აქცია. ფილმის დემონსტრირება ხშირად ათი-თხუთმეტი წუთით გვიან იწყება. ეს იციან მაყურებლებმა და სახლებიდან იმ დროს გამოდიან, როცა უკვე უნდა იხსდნენ და ფილმს უყურებდნენ.


რაც შეეხება ორსაათნახევრიან სენსს, გამგე მხრებს აიჩიჩავს და გეტყვით: რა ვქნა, ძმაოჯან, მე რა შუაში ვარ, მეზობელ კინოთეატრშიც ამ ფილმს უჩვენებენ და კინოლენტების მიტან-მოტანას ვერ ვასწრებთო.

თამბაქოს ხრჩოლვაზე, კარების წამალაუწუმ გაღება-დაკეტვასა და გაუთავებელ ხმაურზე, ვფიქრობთ, არ ღირს ლაპარაკი, ეს ხომ წვრილმანებია.

ასეა, ჩემო გამგეჯან, მაგრამ ყური არავის ათხოვო, ვინც რა უნდა თქვასო, ხომ გავიგონია?! მთავარი ის არის, რომ შენი ტკბილი ბავშვობის ტკბილ ოცნებას ფრთები შეესხა.

ცეროდენა

ნახ. 3. შირცხალავასი



— ყველაფერში როგორ უნდა გავოგონ ვასასის ქმარმა! შენადა, გაზეთში აბარ ნაკროლოგია მასზე სურათითი!..


„მყრულით“ წამაიყვანეთ ქალი — გაჩეჩილთმიანი, წარბები ჰქონდა აპრეხილ-შედებულ-შავფანქრიანი. დმერთო, ნუ მისცემ მისთანას ნურც მტერსა, ნურც მოყვარესა: ოჯახის გამამწარებსა, მეზობლის გამახარებსა! დილით სახლიდან გამოვა, ტკეპნის თბილისის ქუჩებსა, საღამოს წავა კონცერტზე, მე სახლში „მომაყურებსა“. ბევრის ოჯახში ვყოფილვარ, ბევრსაც ვარ გაღანაყარი, მაგრამ, ჯერ არსად მინახავს ამდენი აყალმაყალი. მრცხვენია, თვლებს ვარიდებ, შიშველს ჰგავს მოკლე კაბაში, დილით რომ გამაიღვიძებს, თავი მგონია ზღაპარში: დაწვექით — ყაყაროს ჰგავდა, ავდექით — ჩაღის ფერია. შიშით გულ რომ არ გამისკდეს, თოლი ვერ გამიხელია. არც ჩემთვის, არცა ბავშვისთვის, წუთითაც არა სცალია. სადილს მუდამ მე ვაკეთებ, გამხადა კულინარია. რაც მე ის ცოლად შევირთე, თავი არ მახსოვს მთვრალია, ჩემსა მაგივრად ქეიფობს, თითქოს, ის იყოს ქმარია!

6. არეშიძე

„მეზღუდული“
შეფერხდესა



მე და შევევაჭრე, — ჩეთირნაცათ!
 — ჩტო?
 — ჩტო და ჩეთირნაცათ-მეთქი!
 — ჩტო, კურ?!
 მე სივარტე დაგაძრე და ჩემთვის ვთქვი „პურეკურ“!
 ქათმებს შევეშვი.
 — თოთ სიმინდზე გაზრდილი, ძუძუსე გაზრდილი, დედამისიყ აქვია!...
 — რა ღირს გოჭი?
 — არა ვყიდი, გენაცვალე! წავიღებ უკან და ჩემს ცოლ-შვილში მავშვამ! აი, მაშინ ვნახთო, ქალაქელები როგორ იპრანდნიკებთ!
 — რამ გაგაბრაზა, შე კაი კაცო?!
 — რამ და მამხედე: კაი კაცი ჩანხარ, რამდენი იქნება ეს გოჭი?
 მე მოგინჯე ხელით და ვუთხარი: — ოთხი!



— ქელამდე ჩასხს მკირდობოლი და შენ თმითონ ჩაჯამი?!
 — ღმერთმა აგანუნა, ზუსტად ვერა! ერთი გალტუკიანი მოდის და რა ღირსო, მეუბნება. მე ვუთხარი, ოცდაექვსი მანეთი-მეთქი. რადგან ნაშუსიანი არა მნახა? დავგაგრამო და ოცდაათხიო, კაცოო, ოცდაათხიო! მე ამ გოჭს არა ვყიდი-მეთქი და შენ ამ პრანდნიკებზე რასაც შაშვამ, იმასაც ვნახავ-მეთქი! ისე, კაი შანციანი კი იყო, აი! ჩემს მეზობელს, ვეგითივე გოჭი, ოცდაათად გამაართვა და წავიდა.
 მე ჯერ ოცდაექვსმა დამარტყა თავში, მერე — ოცდაათმა, ბოლოს — ორმოცდათექვსმეტმა.
 ვერ დავიჯერებ, ესენი კოლმეურნეები არ არიან!
 გამაგრდი შენ, ჩემო თავო! რა ვუყოთ, მართლ შენ ხომ არა ხარ ამნაირ დღეში?
 — ისპანახი! ისპანახი! — მომესმა ამ დროს.
 — რა ღირს ისპანახი?
 — სამოცი კაპიკი!
 — ამიწონე 3 კილო. პა, შენ 2 მანეთი!
 — ოთხი კილო წვიღე. ხაჭუნი, ხარშვისას იკლებს ძალიანი!
 — ამიწონე! პა, შენ 3 მანეთი!
 — პა, შენ ხურდა სამოცი კაპიკი!
 ორი მანეთის სალოთავ გავახვიე, ძმარი კი გვაქვს სახლში. კარგა მაგრა დავიჭვირეთ, ჩვევით ჩაგვივი და მჭაგუს ვევი.
 — შეენთისაა, აიღე, გენაცვალე!
 ავიღე.
 — სამი მანეთი და 40 კაპიკი კიდე მომრჩა, ამით მთელი ბაზრის ყვაილებს წავხვებავ მარინუსთან, ყვაილებით მივაღ, და რას მეტყვის? თუ, მაინცდამაინც, ხორციო, ივილა, მას გავაგზავნი ბაზარში.
 — აქეთ! აქეთ! სადღოფლო ყვაილი!
 მაღალი მიხაკების მუშტისოდენა თავები ცაში ბრიალებდნენ.
 — მიხაკო, რა ღირს მიხაკი?
 — დვაპისაქ!
 — რამდენი ცალია?
 — აქა? ეხლავე! ერთი, ორი, სამი! — მერე ხმას დაუწია და ჩაუღიღინა. — ოთხი, პუჭი, ესი, იდი, ვა, ა, აი! ოცია, გენაცვალე!
 მე სამი მანეთი გავუწოდე, მეყვაილები ერთი მიხაკი მომცა, 50 კაპიკი გამომიწოდა და გაბრაზებულმა მითხრა, რას მათვლენებდით.
 ...მე ერთი დიდი მიხაკი მიჭირავს ხელში. ხელჩანთები გავსებულნი მაქვს ათასნაირი ბალახითა და მწვანელით; გეგონება, ბაზრიდან კი არა, სათიბიდან მოვდიოდე და ძროხა მელოდეს სახლში. მაგრამ, მაინც ბაზრიდან გამოვფედი და ჩემი ოთხმოცდაათი კაპიკის ემხით ტაქსებს ვუყვირი: „საბურტალო! საბურტალო!“ გიროვის ბალიდან სპორტის სასახლემდე ხომ მაინც მეყოფა? ეპ, სჯობს, ავტობუსის კონდუქტორს ვაჩუქო ხუთი კაპიკი და ისე მივრისინდე სახლამდის!
 მაინც ვერ დავიჯერებ: არა, ისინი კოლმეურნეები არ იყვნენ.

სხვათაშორის...

- — ისეთ გაჭირვებულ დროს მასხსეფ ფული და ისე დამავალე. ალბათ, თავის დღეში ვერ გადავიხდი! — უთხრა გულაჩუყებულმა მეზობელმა მეზობელს და კიდევაც შეუხსრულა სიტყვა.
- — რას ბრძანებთ, ძვირფასო, ერთი თქვენი კოცნისთვის მზადა ვარ, ნახევარი სიცოცხლე დავთმო!
- თუ აგრეა, თანახმა ვარ; მაკოცეთ მხოლოდ ორჯერ!..
- დედა ხელმეორედ გათხოვდა, მამამაც მეორე ცოლი მოიყვანა, ბავშვს, თითქოს, ორი დედ-მამა ჰყავდა, მაგრამ მაინც უდედმამო ბავშვთა სახლში იზრდებოდა.
- ზოგიერთი ბაზრის დირექტორს ისე ეწილდება სპეკულანტი, რომ თვალებს ხუჭავს მის დანახვავზე.

უ. ფაცულაია

პა. მიხსარ, როგელია?

- თბილისში ბევრი კაფე, სასადილო და რესტორანია, მაგრამ, ერთი მათგანი, ყველასაგან განსხვავდება... იქ ყოველთვის ზედმეტს ახდენენებ კლიენტებს. რ ო მ ე ლ ი ა ი გ ი?
- თბილისში ბევრი უნივერსალი და მაღაზიაა, მაგრამ, ერთი მათგანი, ყველასაგან განსხვავდება... იქ კარგ საქონელს ისე არ გამოვიჩინენ, თუ ზედმეტს არ გადაიხდით. რ ო მ ე ლ ი ა ი გ ი?
- თბილისში ბევრი კიოსკი და სასაუზმეა, მაგრამ, ერთი მათგანი, ყველასაგან განსხვავდება... ოცდაერთკაპიკიან ლულს იქ ყოველთვის ოცდაათ კაპიკად ჰყიდიან. რ ო მ ე ლ ი ა ი გ ი?

ნ. ხუნწარია



ნახ. შ. ნიშანაძისა

— დალიე, ჭიჭიკო. ეს წვეთები, ხელად გამოგაფხიწილავს!
 — რას ამბობ, ძალო, ძლივს დავთვირი და ასე იოლად ვინდა გამოგაფხიწილო?!

— პა, პა, პა, პა! ქუთაისის სტადიონზე მოსული...
 — რა ღირს ბოლოკი?
 — შენ ვერ იყიდი მაგას, ბიძია!..
 — რატომ?
 — რაცხა ისე მკითხე და მიტომ!
 — აბა, რაფერ უნდა გკითხო?
 — რაფერ და ასათე: „მომეცი ორი კონა ბოლოკი! რამდენი მოგართავთ?“ მე გიტყვი: „ოთხმოცი კაპიკი!“ თქვენ მომცემთ მანუას, მე დაგიბრუნებთ ოც კაპიკს. გასაგებია, ბიძია?!
 — გასაგებია! მომეცი სამი კონა ბოლოკი! პა, თქვენ მანეთი და ოცი კაპიკი!
 — ასთე, ბატონო! სწავლა სიკვდილამდღო, ხომ გაგოზინა?! მწვანელი ხომ არ დაგავიწყდა?
 — რა ღირს შენი მწვანელი?
 — თითო კონა — ათი კაპიკი. ესე იგი, ორმოცდაათი კაპიკი!
 — ესეც თქვენ ორმოცდაათი კაპიკი. გმადლობთ!
 მეცა ბიძია! ეკალა არ დაგაბრანს?
 — ეკალა არა, პარა, მომეცი!
 — ა, ბატონო! სამი მანეთის დაძღვებს ოჯახს; სახეც წვიღე, ბიძია, იაფად მოცემ. კონა — ოცდაათი კაპიკი.
 — მომეცი სამი კონა. პა, მანეთი!
 — პა, ბატონო, ათი კაპიკი!
 ჯერჯერობით, საქმე კარგად მიდის! — გავიფიქრე მე და იქით წავუდი, სადაც ქათმები იჭირათ ხელში და კურტუმოსთან სულს უბურავდნენ.
 — ქათმი როგორ? — იკითხა ერთმა „წმინდა ქართულით“.
 — წყვილი — ოცდაექვსი!
 მე თავში დამარტყა ოცდაექვსმა. უცებ გამახსენდა, ოცდაათხუთის რომ ვიყავი და შემრცხვა.
 — ერთში რა მოგცე? — ისევე ჰკითხა „წმინდად მოქართულემ“.
 — დეიდა გამოჭერავ ჩარ?!
 — ცამეტი ბლიუს ცამეტი — ოცდაექვსი!
 ასლა ოცდაექვსს გამოაკელი გინდა ეს ცამეტნიანი ქათამი, გინდა ის ცამეტნიანი ქათამი, დარჩება ცამეტი!..
 — რაებს ბოდავ? ვერაფერი გავიფე!
 — სკოლაში რომ კარგად გესწავლა, გაიტბდი!
 — აი, ამაში თუმანს მოცემე! — ვუთხარი მე.
 — თორმეტიც რომ მომცე, არ მოცემე!
 — ვითომ, რათათ?...
 — ნუ დაბიწყე ასლა აქ ვაჭრობა! აბა, მოუსვი ხელი კურტუმოსთან! კვერცი აქვს შიგ!
 — ე, ბიჭო, რა გახდა ეს აბაზიანი, ვომთავრებელი კვერცი?! დავადებინებ, დაგიტოვებ და მომეცი თუნდა!
 — შენ, როგრც გატყობ, ქათმის ხორცი არ გეყარება. კარგა მეყოლე!
 ასლა მეორეს მივადექი. თათარმა დედალი გადმოაბრუნა და ფული, მგებერა. მე ჩემი მეგობრის ქაჩალი თავი გამახსენდა და სიცოლი ამიტყდა.
 — ვისზე ისინი! ქათმზე ისინი თუ ჩემსზე ისინი?
 — ჩემს მეგობარსზე ვისინი! — ვუთხარი

**„ნიანგის“ უკანასკნელ
ხნობათა სააგენტო**

როგორც 1966 წლის 5 მაისს გამოშვებული ხელოვნური თანამგზავრის — „ჩანგალი № 1“-ის სატირულ-იუმორისტული კვლევის ცენტრი იუწყება, თანამგზავრი განაგრძობს წინასწარ ვათვალისწინებულ ორბიტაზე ფრენას და უკვე მეტად საინტერესო მასალებს გვაწვდის. სიგნალების წინასწარი გაშიფვრის შედეგად გამოირკვა:

...რომ ვლდანში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, უკვე, კარგა ხანია, წყალი არ არის და თუ ბავშვებმა, სკოლაში წასვლამდე, არ მოიმარაგეს იგი, მოხუცები უწყლოდ რჩებიან. მოსახლეობის ყველა თხოვნა დღემდე დაუკმაყოფილებელია!

...რომ იგივე მდგომარეობა ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში. აქამდე დედაბუნების იმედით იყვნენ იჭაურები, მაგრამ ახლა, უყურადღებობის გამო, ერთადერთი წყარო დაშრა და მალე უდაბნოს დაემსგავსება ეს მხარე. ჯაბიანთუბანში კი აგერ სამი წელია რაც სინათლე და რადიო რა არის, არ იციან. გასულ წელს, ქარელის სარემონტო-სამშენებლო კანტორამ, სრული და არასრული სკოლების პედაგოგებისათვის სამოთახიანი სახლი ააშენა, მაგრამ, ვაი, ამ აშენებას! საცერვიტო კრამიტი დაახურეს, შიდა სამუშაოები არ დაამთავრეს, უპატრონო სახლს ავხლებმა ბოძები გამოაცალეს და ახლა ბეწვზე ჰკიდია მისი ბედი. შესაკეთებლად კი თავს არავენ იწუხებს.

...რომ ხობის რაიონის სოფელ საგვიჩიოს მცხოვრებლებს დღემდე არ ელირსათ ნორმალური მანაზია. პაწაწკინტლა ჭიჭურის ანაბარად არიან და პრაოდუქტების საყიდლად ოცი კილომეტრის დაშორებით დადიან.

...რომ ქალაქ თბილისში, აკ. წერეთლის გამზირზე, № 77-ა სახლში, ლიფტს მიკროინფარქტი მოსვლია და, პირველ სართულზე მალდა, აღარ აღის. ლიფტს წყალმაც მიბაძა და იშვითად მესამე მეოთხე სართულს თუ ესტუმრება. ცხელ წყალზე კი ჭვარი გწერიათ! როგორც ეტყობა, იგი სადღაც გზაში აორთქლებულა.

...რომ თუ ძველად ამბობდნენ: ყველა გზა რომში მიდისო, დღეს კანეთში ასე იტყვიან: ყველა ნორმალურ ავტობუსს გურჯაანის „ატეკა“ თბილისისკენ უშვებს, უავტობუსოდ ვართ დარჩენილები და ჩვენი თხოვნა-მუდარა არავის ყურამდე არ მიდისო.

...რომ ქ. რუსთავეში, კიროვის ქუჩა № 18-ში, ნავთქურის ჭვარტლით იხრჩობიან მცხოვრებლები. ნავთიც არ არის ყოველთვის, თორემ, ვინ რას იტყობა! გაზი კი ძალიან „მოცხვი“ აღმოჩნდა: 1965 წლის 5 აგვისტოს საღარბაზომდე როგორც იქნა მოვიდა, მაგრამ ბინებში ვერ იქნა და ვერ შეადგმევინეს ფეხი.

საინტერესო უბიძვიზინა ქვიყნა

სიანგანი „ძაკვის ვაქინაჰი“

ქალაქ სირაკუზაში (ამერიკის შეერთებული შტატები) განსტრეგბნ: ერთი ფირმის სეიფი „გაწმინდეს“... ტანკაწინააღმდეგო ქვემეხით. მცირე კალიბრის რამდენიმე ჯავშანმგრევილი ჭურვი საკმარისი აღმოჩნდა დაჯგუფული კარის გასახრეტად. სროლის ხმა არავის გაუგონია, რადგან შენობა ხმისმშთანთქავი ხელსაწყოებით იყო გარსემოვლებული. ამ საკმაოდ უცნაური ეიზიტის სამახსოვროდ მძარცველებმა ქვემეხის სამეფო ლაფიტი დატოვეს.

კავანთა სამყაროში

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცემული პატენტი № 56248, რომლის ავტორმა გამოიგონა სპეციალური „მისასალმებელი“ მოწყობილობა. აპარატი მოთავსებულია ქუდში. საკმარისია, ასეთი ქუდის მფლობელმა ოდნავ დახაროს თავი, რომ შლიაბა იმწამსვე ზემოთ აიწევა. ამ პატენტის წყალობით, თქვენ ავტომატურად ხდებით ზრდილობიანი.

იიფადის კოჰით მოჰაჭრა

1925 წლის გაზაფხულზე, ლითონით მოვაჭრე ფირმის რამდენიმე ხელმძღვანელმა ვიფადის კოჰის ექსპლოატაციის კომპანიის კომერციული მრჩევისაგან მოწყვეტა მიიღო. იგი მათ პარიზის ერთ-ერთი უბრწყინველი სასტუმროს მისაღებში ელოდებოდა. „საქმიანი საუბარი“ ვიფადის კოჰის ჯართად გაყიდვას ეხებოდა. საქმისები მეტად გააკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც წამოეგო ანკვესტი და „მრჩევი“ გატყინებული ბანკოტები პორტფელში ჩაილაგა. მართალია, მალე მუსიო პუასონმა ქალაქის მერისაგან გაიგო, როგორ გააცურეს იგი, მაგრამ დავიდარბას დუმილი არჩია. ამით ისარგებლა „მრჩევი“ — ვიტჰორ ლუსტიგმა, დაბრუნდა პარიზში და ხელმოიწერა გაყიდა ვიფადის კოჰი. ბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიქცა ეს მსოფლიო მნიშვნელობის აფერისტი და იქ, ერთ-ერთ ციხეში გარდაიცვალა.




უსიპოლოგიის გამოყენებით

პარამბსს და ბაღებში გაზონებისა და ყვავილნარების მთელავთა საწინააღმდეგო მეტად ეფექტური საშუალება გამოიგონეს ქალაქ ზელენა გურაში (პოლონეთი). გათელილ გაზონებში ჩამაგრებული წარწერები — „აქ სიარული აკრძალულია!“, „გაზონებზე სიარულისთვის ჯარიმა ამდენი და ამდენი...“ შეცვალეს წარწერით: „გზა ვირებისათვის!“.

არ გასულა რამდენიმე დღე და გადათელილ გაზონებსა და ბილიებზე ისევე აბიზნდა ბალახი.

მთავარი სახის გამოგავყვადება

რს ინსტიტუტებს არ შეხვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებში! ამასწინათ, მათ რიცხვს კიდევ ერთი მიემატა: ქალაქ ჩიკაგოში შეიქმნა „ყოველდღიური მიმიკის ინსტიტუტი“. აქ ყოველდღიან კმთილი ადამიანის სახის გამომეტყველების ხელოვნებას, რომელიც ესოდენ სჭირდება ბიზნესმენებს. „ჩვენთან თქვენ ისწავლეთ, — გვაუწყებს ინსტიტუტის რეკლამები, — როგორ უნდა მიანიჭოთ საკუთარ თავს პირუთენილი ადამიანის გამომეტყველება!“.



საინტერესო უბიძვიზინა ქვიყნა

საინტერესო უბიძვიზინა ქვიყნა

უაუი გვიღვს... სასწორი

დახლს აქეთ მე ვარ, იქით — შენ, უაუი გვიღვს სასწორი; ნახევარ კილო ხორცს ვითხოვ, შედ ძვლებს და თითებს აწონი. მინდა „გაკოცო“, „მაკოცო“, ფეხის წვერზე ვარ შემდგარი. ჯერ არსად გამოგონია, ხელის სისწრაფე — შენგვარი. სულ ფეხზე დგახარ, ტრიალებ,

თუმცა, ამით რას აგებ? ხორცს, სამ ხარისხად მიღებულს, ერთნაირ ფასად ასაღებ! მინდა „გაკოცო“, „მაკოცო“, გასკდრმაზეა ეს გული, რით გაირეცხე ნამუსი — მტკვრით, რიონით თუ ენგურით?

შ. შადრანიშვილი

მოსკოვსა და მოსკოვ-მომღერალი სტუდენტის საფხვლის საყურადღებო!

„ნიანგი“ რედაქციასთან სატირულ-იუმორისტულ საწყისებზე შექმნილმა სასწავლო-აღმწერდლობითმა კომისიამ დაადგინა:

1. ზაფხულის სესიების დაწყებასთან დაკავშირებით, გავითვალისწინეთ რა საზღვარგარეთ მყოფი ზოგიერთი მოსპორტსმენო (აგრეთვე მოცეკვა-მომღერალი) სტუდენტის მდგომარეობა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მივცეთ მათ გამოცდების დაუსწრებლად... ტელეფონით ჩაბარების უფლება.

2. გამოცდები მიიღება ყველა საგანში, რუსულ წერაშიც კი. თუმცა, ამ შემთხვევაში, როგორც საქადრაკო სვლის რადიოთი გადაცემისას, საქმე ოდნავ რთულდება, რადგან ყოველი სიტყვა ასო-ასო უნდა დანაწილდეს და სახელების მოშველიებით გადმოიცეს. მაგალითად, სტუდენტი ლექტორს კარნახობს სიტყვას „ПЕЛИ“: П — პელაგია, Е — ელიჩკა, Л — ლეონტი, И — იორდანე. ამ მეთოდის გამოყენება იმიტომაცა აუცილებელი, რომ ლექტორმა „ПЕЛИ“-ს ნაცვლად, შესაძლოა, „ШИЛИ“ გაიგონოს, რომელიც, ერთი შეხედვით, ლოგიკურ კავშირშია პირველთან, მაგრამ, ზოგიერთ კონტექსტში, აშკარა დაბნეულობას შეიტანს.

ან, ავიღოთ ჩვენებითი ნაცვალსახელი „ТОТ“. Т — ტერეზა, О — ონოფრე, Т — ტერეზა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია „ТОТ“ ლექტორს „КОТ“-ად მოეხმას და ჩვეულებრივი წინადადება — „И ТОТ СТАЛ ДОКТОРОМ ФИЛОСОФИИ“ — იგავ-არაკის ფრაზად იქცევა.

ამას გარდა, თუ სტუდენტმა ისე გადმოსცა თემა, რომ არც ერთი რბილი ნიშანი არ გამოიყენა, მაგარი ნიშნის იმედიც ნუ ექნება!

3. კარნახსა და შპარგალკომანიას გამოცდების ეს საექსპერიმენტო მეთოდიც კრძალავს. ვთქვათ, რომელიმე მოსპორტსმენო სტუდენტი ზაფხულის სესიებს გლაზგოში ატარებს და ფიზიკაში კი გამოცდა აქვს ჩანაბარებული. ადვილი შესაძლებელია, მისი მეგობარ მეგობარი, რომელიც „მხეცია“ ფიზიკაში, ამ დროს ბუნენო-აირესში იმყოფებოდეს.

არამც და არამც არ უნდა მისცეს გლაზგოში მყოფ სტუდენტს სინდისმა იმის უფლება, რომ ერთი ყურმილით ბუნენო-აირესში მყოფ მეგობართან გააბას საკონსულტაციო-საქარნახო კავშირი და მეორეთი თბილისელ პროფესორს უპასუხოს. ტელეფონი, როგორც ტექნიკის შესანიშნავი მიღწევა, რასაკვირველია, კარგი საქონელია, მაგრამ სინდისიც ხომ...

4. დარწმუნებული ვართ, რომ საზღვარგარეთ მყოფი ყველა მოსპორტსმენო (ასევე მოცეკვა-მომღერალი) სტუდენტი, გამოცდაზე გასვლის წინ, ჩინებულ ხასიათზე იქნება. მართო ის რად ღირს, რომ სტუდენტების შემოწმების სამსაფხვურიანი სისტემა არ დაუწიწკნის ნერვებს და, რაც მთავარია, გამოცდაზე ნებისმიერი ფორმით გავა (პალტო, ლაბადა, პიუჟა, პაპიროსი პირში და ა. შ.).

5. ბოლოს, სასწავლო-აღმწერდლობითი კომისია არიგებს თითოეულ მოსპორტსმენო (აგრეთვე მოცეკვა-მომღერალ) სტუდენტს, რომ, როცა საქართველოში გამგზავრების დრო დაუდგება, შედმეტ სარჯებს მოერიდოს. პეპსი-კოლათი გაჭყებას ის ურჩევნია, სუვენირად წაღებულ „ვარციხეს“ იქ მოხსნას თავი, ვიდრე ტყუილების გუდას — აქ.

შენიშვნა:

იმ მიზნით, რომ საზღვარგარეთ მყოფი ზოგიერთი მოსპორტსმენო თუ მოცეკვა-მომღერალ სტუდენტს „არ ვიცოდის“ საფუძველი გამოეცალოს, კატეგორიულად ვაცხადებთ:

ა) ზაფხულის სესიები წლეულსაც ზაფხულში დაიწყება და ზაფხულშივე დამთავრდება.

ბ) ზაფხული უწინდებურად სამი თვისგან შედგება: ივნისი, ივლისი, აგვისტო.

გ) საკურსო შრომები შეიძლება ბანდეროლით გადმოიგზავნოს. მისამართი სამ ენაზე: ინგლისური, რუსული, ქართული.

დ) ქართულია ის ენა, რომელშიც მშ ასო, მათ შორის, მ, ჯ, ძ, წ, უ შედის და რომელზედაც რუსულ „бездельник“-ს სამი სინონიმი გააჩნია: უ ქ ნ ა რ ა, უ ს ა ქ მ უ რ ი, ც უ ლ ლ უ ტ ი.

დადგენილება ჩაწერა
ბ. ზარნაძემ



— ბატონო დირექტორო, რაშია საქმე? ამდენი ხალხი კრებას არასოდეს დასწრებიან!



ნახ. მ. აბაშიძის

— რძალიც ასეთი უნდა, ამ ხნის კაცი პაპიროსის წვეს მიმაჩვია.

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმუზაძე. სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნაიძე, ნ. შველიძე, თ. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილებებს—3-10-78

სელმოწ. რ.ს.ა.ბ. 25/V-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობითი ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1803 უე 11252 ტირაჟი 55000

USA
სენატი

ამერიკის შეერთებულ შტატებში სენატორის ადგილისთვის ორ მილიონ დოლარზე მეტს იხდიან.

— ორი მილიონი!.. ვინ ჩამოდის მეტს?!

